№ 107 1877—1901 №. 107

შაბათი, 19 მაისი, 1901 წ.

# ივერია

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

შაბათი, 19 მაისი, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

## სახალხო სეირნობა

საქველ-მოქმედო ბაზრითურთ.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“-მიერ განზრახული სახალხო სეირნობა საქველ-მოქმედო ბაზრითურთ გაიმართება 17-სა და 18 ივნისს. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლღა თადეოზის ასულის ჭავჭავაძისასთან, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში“, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა ქარვასლაში.

ტელეფონი № 741.

### საქვთიაქო საქონლით მოვაჭრე

ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

## დეპო

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის საავადმყოფოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სალოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდ მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

ამხანაგობის განყოფილება სასახლის ქუჩაზეა, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т—во Фармацевтовъ—провизору Алхазову.

ადრესი ტელეგრამებისა: Тифлисъ „Фармацевтика“.

(100—43—27)

ქუთაისის გუბერნიის, შორაპნის მაზრის შავის-ქვის მწარმოებელთა კრების

### საბჭო,

თანახმად დადგენილებისა, რომელიც 1901 წლის 12 მაისს მოხდა ჭიათურის შავის-ქვის მწარმოებელთა საზოგადოების საურთიერთო კრედ-ტის დამფუძნებელ წევრთა კერძო რჩევაზედ, ამით აცხადებს, რომ აღნიშნულის საზოგადოების წევრთა პირველი **საზოგადო კრება** მოხდება სამშაბათს, 22 მაისს 1901 წელს, დილის 11 საათზედ, კრების საბჭოს სადგომში, ქუთაისში.

კრების საგნებს შეადგენს:

1, არჩევანი კრების თავჯდომარისა.

2, განხილვა და დამტკიცება ამ საანგარიშო წლის ხარჯთ-აღრიცხვისა;

და 3, არჩევანი სხვა-და-სხვა თანამდებობისათვის საჭირო კაცებისა:

ა, გამგეობის წევრებისა;

ბ, საბჭოს წევრებისა და

გ, სარევიზიო კომისიის წევრებისა.

(3—б.—2)

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სალოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ.) და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

გ. ა. თარხნოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ლ. ტ. არვანიტაკი. 11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра
**Навасардіана.**
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

### მკურნალი

## მიხეილ გედევანიშვილი

გადავიდა საკუთარ სახლში, ყორღანოვის ქუჩა, № 16.

ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 6—7 ს.

(10—б.—6)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა,

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა; სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილით:**

გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მუღანი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. მატინოვი—თვალის 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა—1—2 ს.

გ. დ. მარკევიჩი—საქირურგო—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 ს.

**საღამოთი:**

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათ.

**კვირაობით:**

ბ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ., ოპერაციები—მორიგებით. კროვატი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კროვატი ღარიბთათვის უფასოა.

# ფელეტონი

## ევროპიელნი და საქართველო

ჩვენს მწერლობაში არა ერთხელ გამოთქმულა სინანული იმის გამო, რომ საზღვარ-გარედ არ გვიცნობენ, არ იციან არამც თუ დაწვრილებით ჩვენის ქვეყნის ვითარება და ხალხის ავი და კარგი, რაოდენადმე წარმოდგენაც-კი არა აქვთ იმ კუთხის შესახებ, რომელსაც საქართველო ეწოდება. თითო-ოროლა მეცნიერ-მკვლევარისა და მოგზაურის გარდა, უმრავლესობას ევროპაში საქართველო და ქართველები სრულიად არ გაუგონია, ხოლო ის, ვინც შემთხვევით გაიგებს ხოლმე, რომ საქართველო ცოტად თუ ბევრად კულტურული კუთხეა და არა ველურთა სათარეშო, რომ ქართველებს აქვთ მდიდარი წარსული, ლიტერატურა, ჟურნალ-გაზეთები, ჰყავთ განათლებული ხალხი, განცვიფრებასა და გაკვირვებას ეძლევა. რაღა ევროპა, როდესაც რუსეთშიაც ამასვე ვხედავთ. სხვას რომ თავი დავანებოთ, ცრუ და შემცდარს აზრებს ქართველების შესახებ თვით-მწერლობასა და დროგამოშვებით გამოცემებშიაც არა ერთხელ შეჰხვდებით. მაგალითად შემდეგიც საკმაოა. ამას წინად გაზეთის „ნოვოსტის“ სურათებიან დამატებაში მოთავსებული იყო ახლად გარდაცვალებულის პოეტის რაფიელ ერისთავის სურათი. ქვეშ ამ სურათს მოწერილი ჰქონდა: „სომეხთა მწერალი“. როდესაც ისეთი გავრცელებული გაზეთი, როგორიც „ნოვოსტია“, ამ გვარ შემცდარს ცნობებს ჰბეჭდავს, რაღა უნდა მოეთხოვოს კერძო კაცებს, რომელთაც არც საქართველო უნახავთ და არც ქართველების შესახებ წაუკითხავთ რამე?

რაღა ლაპარაკი უნდა, რომ უმთავრესი დანაშაული ამ საქმეში თვით ქართველებსავე მიგვიძღვის. დღემდე ჩვენ არაფერი არ გაგვიკეთებია, ოდნავაც არ გვიფიქრია და გვიზრუნია იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყანა, წარსული და აწმყო, ჩვენი მწერლობა ევროპიელთათვის გაგვეცნო. ის თითო-ოროლა ცნობაც-კი საქართველოს შესახებ და ნიმუშები ჩვენის მწერალთა ნაწარმოებისა, რაც დღემდე გადათარგმნილა ევროპიულს ენებზედ ან დაბეჭდილა რომელსამე ჟურნალსა და გაზეთში, ევროპიელთავე მეცნიერთა, მკვლევართა და მოგზაურთა ცნობის-მოყვარეობის და არა ქართველების მეცადინეობის ნაყოფად უნდა ჩაითვალოს. იმ დროს, როდესაც ჩვენისთანავე პატარა ერები თითქმის აზვიადებენ კიდეც ევროპიელთა თვალში თავიანთ წარსულს, ლიტერატურას, ჩვენ ჩვენის სამშობლოს ამ ქვეყნად არსებობასაც-კი არავის ვაგებინებთ. ეს ერნი აუარებელ წიგნებსა ჰბეჭდავენ ევროპიულ ენებზედ, გაზეთებსაც აარსებენ იქ ერთად-ერთის აზრით—გააცნონ თავიანთ ქვეყანა ევროპას, გააგებინონ თავიანთის ხალხის ჭირ-ვარამი და ყველა ამით ევროპას დაუახლოვონ, ევროპიელთა თანაგრძნობა მოიპოვონ. ჩვენს მოქმედებაში ვერაფერს ამისთანას ვერა ჰნახავთ.

რასაკვირველია, ამიტომ დიდის მადლობის ღირსია ბ-ნი ალ. ხახანაშვილი ფრანგულს ენაზედ მოკლე „საქართველოს ისტორიის“ შედგენისათვის, ხოლო ბ-ნი რ. ისარლიშვილი ამ „ისტორიის“ გამოცემისა და ევროპაში დარიგებისათვის. ბ-ნ ისარლიშვილს მრავალი წერილი მოსვლია ევროპის თითქმის ყველა ადგილიდგან. მეცნიერნი, პროფესორნი, მწერალნი, საპოლიტიკო მოღვაწენი და სხვანი დიდს მადლობას უთვლიან გამომცემელს ამ „მეტად საინტერესო და საყურადღებო“ წიგნის გაგზავნისათვის, წიგნისა, რომელიც შეძლებას გვაძლევს გავიცნოთ დღემდე ჩვენთვის თითქმის სრულიად უცნობი ქვეყანაო. ამ წერილებიდგან აშკარადა სჩანს, რომ ევროპაში ძალიან ბევრსა ჰსურს საქართველოს გაცნობა, იმის წარსულისა და აწმყოს შესწავლა, მაგრამ შესაფერ წიგნების უქონლობისა გამო ვერ ახერხებს ამას.

მადლობის წერილები ბ-ნ ისარლიშვილისათვის, სხვათა შორის, გაუგზავნია საფრანგეთის პრეზიდენტს, პარიჟის მსოფლიო გამოფენის მთავარ-კომისარად ნამყოფს პიკარს, გერმანიის კომისრად ნამყოფს ამავე გამოფენაზედ რიხტერს, პარიჟის საგეოგრაფო საზოგადოების თავმჯდომარეს, ლიონის საბუნების-მეტყველო ისტორიის მუზეის დირექტორს ერნესტს შანტრს, ბრიუსელის უნივერსიტეტის პროფესორს ე. ნისს, გამოჩენილ გეოგრაფს ელიზე რეკლიუსს, დიჟონის უნივერსიტეტის პროფესორს ჟიულ ლეგრს, ცნობილ მოგზაურს იუგ კრაფტს, ჩეხ-სლავიანთა საერო აკადემიის (პრაგაშია) პრეზიდენტს ი. რეჟაბეკს, ცნობილ მწერალს პოლ ადანს, საფრანგეთის სამრეწველო ბანკის დირექტორს შეეცერს, პარიჟის სამისიონერო სემინარიის რექტორს ბ. დელპეშს, პარიჟის საგეოგრაფო საზოგადოების წევრს, ცნობილ მოგზაურს ლაბბეს და მრავალ სხვას.

მეტად არ მიგვაჩნია გავაცნოთ მკითხველებს ზოგიერთი წერილები.

„მოწყალეო ხელმწიფევ!

თქვენ მიერ გამოცემულ წიგნის გამოგზავნით დიდად და დიდად მასიამოვნეთ, რისთვისაც ვალდებულად ვრაცხ თავს გულ-წრფელი მადლობა გამოგიცხადოთ. მართალია, ბედმა თქვენს სამშობლოს ხალხთა განვითარების საქმეში პირველ ხარისხოვანი როლი არ არგუნა, მაგრამ თავისის ბუნების საიდუმლო სიმშვენიერით იგი უოველთვის იქცევდა ევროპიელ და აზიელ კულტურულ ხალხთა ყურადღებას, ხოლო მცენარეულობით მდიდარი ველნი უოველთვის აღფრთოვანებდნენ პოეტებს“.

„ერთი ჩვენი ცნობილი მწერალი იმდენად დაინტერესებულია თქვენის სამშობლოთი, რომ გთხოვთ დაუსახელოთ რომელიმე ახალი გრამატიკა და ლექსიკონი, რომელთა შემწეობითაც შეიძლება თქვენის ენის შესწავლა. ამას გარდა გთხოვთ შეგვატყობინოთ, მოიპოვება თუ არა ქართულ საერო სიმღერათა კრებული.

ივ. რეჟაბეკი, ჩეხ-სლავიანთა აკადემიის პრეზიდენტი“.

იმლებს
ქირით ხუთი ოთახი.
ნიკოლოზის ქუჩა, № 21, სახლი
ე. გ. საგინაშვილისა.

## მთავრობის განკარგულებანი

ებოძა წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის ორდენი ღვთის-მეტყველების კანდიდატს ევტიხი მამინაიშვილს.

# ახალი ამბავი

**** როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, განზრახვა აქვთ, კლასიკური გიმნაზიები და რეალური სასწავლებლები შეაერთონ და ახალი ტიპის სასწავლებლები შექმნან. ძველის ენების სწავლება არ იქმნება ამ სასწავლებელში, მხოლოდ მე-5 კლასიდგან ამ საგნების სწავლა სავალდებულოა იმ მოსწავლეთათვის, რომელნიც აპირობენ უნივერსიტეტში იურიდიულსა და სამკურნალო ფაკულტეტებზედ შესვლას.

**** ხუთშაბათს, 17 მაისს, საღამოს 8 საათზედ, ქალაქის გამგეობის სადგომში სხდომა ჰქონდა იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს ქალაქის საბჭოსაგან ახალის პროექტის შემუშავება მიხეილის სახელოსნო სასწავლებლის გადაკეთებისა სამინისტროს წინადადების თანახმად. კომისიამ განიხილა ერთი ნაწილი პროექტისა და სხდომა გადასდვა ორშაბათ, 21 მაისისათვის.

**** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენაზედ საუკეთესო ექსპონენტების წარმომდგენელთა დასაჯილდოვებლად დაუნიშნავს 5 ოქროს მედალი, 20 პატარა და 10 დიდი ვერცხლისა და 50 ბრინჯაოს მედალი და 100 ქების ფურცელი. აღნიშნულს საჩუქრებს გამოფენის გამგე კომიტეტი მიიღებს გამოფენის დაწყების პირველ დღისათვის.

**** განსვენებულ ნ. ზუბალაშვილის ანდერძის შესრულება დაგვიანდა იმიტომ, რომ ღარიბთა თავშესაფარ სახლის ასაშენებლად პროექტის შედგენა დაევალა ქალაქის ტეხნიკოსებს. ამ დღეებში უკვე შესდგა სხდომა ანდერძის აღმასრულებელ კომისიისა გამგეობის წევრის თავ. ვ. ჩერქეზიშვილის თავმჯდომარეობით. კომისიას წარუდგინა სამი პროექტი, რომელთაგან მოწონებულ იქმნა ქალაქის ტეხნიკოსის ალაჯანოვის პროექტი, რომელიც მალე წარედგინება განსახილველად ქალაქის საბჭოს.

**** კავკასიის მკურნალთა მე 2 კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ოლგას საბებიო ინსტიტუტის დირექტორი მკურნალი ფიშერი.

**** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს შარშან, 15 სექტემბერს, შავი ზღვის პირად, სოჩის მახლობლად მდებარე ვერეშჩაგინის სააგარაკო ადგილების რამდენიმე ნაწილი საჯაროდ გაუყიდნია 1 მ. 27 კ.—5 მანეთამდის თითო ოთხ-კუთხი საჟენი აგარაკების გასამართად. ასეთი კარგი ფასი იმითი აიხსნება, რომ ზემოხსენებული ადგილები მშვენიერს საცხოვრებელს კუთხეს წარმოადგენს, სადაც სანოვაგეც ადვილი საშოვარია. სამინისტროს ამა მიმდინარე წლის 31 მაისისათვის დაუნიშნავს კიდევ საჯარო ვაჭრობა, რომელზედაც გაიცემა 17 აგარაკი, თითო 420-დგან 1000 ოთხ-კუთხ საჟ. 1 მ. 25 კ., 2 მ., 4 მ. და 5 მანეთად თითო ოთხ-კუთხი საჟენი.

**** მიწად-მოქმედების დეპარტამენტმა, როგორც ვუწყით, მიიღო სხვა-და-სხვა ღონისძიებანი ამიერ-კავკასიის დასავლეთ ნაწილში ჩაის მოშენების საქმის განვითარებისათვის: დაარსებულ იქმნა რამდენიმე სანიმუშო მინდორი, გააშენეს სანერგეები; გარდა ამისა, აზრადა აქვთ დასთესონ ჩაი და ნერგები დაურიგონ სკოლებს და მცხოვრებლებს, გამოსცენ დასურათებული დარიგების წიგნაკები ჩაის მოყვანის შესახებ; დააარსონ პრაქტიკული კურსები, სადაც შეასწავლიან ჩაის მოყვანის საქმეს და სხვანი.

**** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს კავკასიის რწმუნებულს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისათვის 1200 მ. გადაუცია ტფილისის საბაღოსნო სკოლის შესანახად.

**** ამ დღეებში ტფილისში ჩამოვა სრულიად რუსეთის რკინის გზების უფროსი ინსპექტორი ინჟენერი ვ. ე. კეტრიცი.

**** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კომისარს უთხოვნია ტფილისის სავაჭრო-სამანუფაქტურო კომიტეტისათვის, გვაცნობეთ, თუ რა გვარი ექსპონატების დაწყობა შეიძლება სამრეწველო განყოფილებაშიო.

**** ტფილისის საკომერციო სასწავლებლის ინსპექტორად დანიშნულ იქმნა მე-II კლასიკურ გიმნაზიის მასწავლებელი სვატოში.

**** ტფილისის სამრევლო-საეკკლესიო სკოლებში ეგზამენები 15 მაისიდგან დაიწყო და 5 ივნისამდის გაგრძელდება.

**** როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, პეტერბურგის სამხატვრო აკადემიამ გარდასწყვიტა ამა მიმდინარე წლის სექტემბერში დააარსოს ტფილისში სამხატვრო სასწავლებელი. აკადემიას ამისათვის უკვე გადაუდვია 10,000 მ. დაარსების დღიდგან 1902 წლის 1 იანვრამდის სასწავლებლის ხარჯისათვის ამ საქმის გამო ივნისში ჩამოვა ტფილისს მხატვარი ა. კანდაუროვი.

**** ქალაქ ტფილისის პირველ-დაწყებით სასწავლებელთა გამგეებს წარუდგენიათ სასწავლებელთა კომისიისათვის მათ-ამი რწმუნებულ სასწავლებელთა ხარჯთ-აღრიცხვა მომავალის წლისა.

**** ამ დღეებში გამოკვლეულ იქნა მთა-წმინდასა და კოჯორს შორის ელექტრონის ტრამვაის გასაყვანი გზა, რომელიც სიგრძით 9 ვერსზედ ცოტა ნაკლებია.

**** როგორც გუშინ მოხსენებული გვქონდა, მთავრობამ ნება დართო ბათუმსა და აბასთუმანს შორის ფოსტის ეტლების მიმოსვლისა. ამ ადგილებში სადგურების ასაგებად საჭირო მიწის მისაზომად გაგზავნილ იქმნენ ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსი და ბათუმის ოლქის უფროსი. ამ გზაზედ გამართული იქმნება შემდეგი სადგურები; აჭარის-წყალი, ქედი, ხიხაური, ხულო, ნაწუსოღლი, კანლი, ზარზმა და ბენარი. სადგურებისათვის მიწის შესაძენად უკვე გადადებულია საჭირო თანხა.

**** დედოფლის მარიამ ალექსანდრეს ასულის უსინათლოთათვის სამზრუნველოს კავკასიის განყოფილება გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ 1901 წლის 1-ლ აპრილამდის განყოფილების კასსაში ყოფილა 12,437 მან. 9 კაპ. აპრილის განმავლობაში შემოსულა 666 მან. 37 კაპ., სულ 13,105 მან. 29 კაპ ამავე წელს აპრილში სამკურნალოში ყოფილა 581 ახალი ავადმყოფი, და მოუხდენიათ 116 ოპერაცია.

**** 17 მაისს მამადავითის ეკკლესიის დღესასწაულს მრავალი ხალხი დაესწრო. წირვაზედ გალობდა ორი გუნდი, ერთი ამავე ეკკლესიისა, ხოლო მეორე ბ-ნ კარგარეთელის მიერ შედგენილი.

**** ოთხშაბათს, 23 მაისს, ტფილისის პირუტყვთა მფარველ საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება მოხდება სხვა-და-სხვა საქმეთა განსახილველად.

**** ტფილისის გუბერნატორს დაუმტკიცებია ქალაქ ტფილისის ვაჭართა წლიური კრების დადგენილებით ვაჭართა მამასახლისად ხელ-ახლად არჩეული ბ-ნი დავიდოვი და კრების მიერ არჩეული კომისია, რომელსაც მიენდო ბ-ნ დავიდოვის 25 წლის სამსახურისა გამო იუბილეის მოწყობის საქმე.

**** პოლიციის მე-7 ნაწილში, 16 მაისს ერთი შემაძრწუნებელი მკვლელობა მოხდა. ციციშვილის ქუჩაზედ, ამბარცუმოვის სახლში, მდგმურის გუმბრის მაზრის მცხოვრების [illegible] ბინაზე შეპარულა ვიღაც [illegible] მზრახველი და რაფიელის ცოლის შაგალისათვის ხანჯლით თუ დანით ყელი გამოუჭრია. ამას გარდა, თავშიც დაუჭრია. გვამი დილის 10 საათზედ უნახავთ. მკვლელობაში ეჭვი მიუტანიათ ვიღაც ხეჩოზედ, რომლის ვინაობაც ჯერ ვერ გამოურკვევიათ. ხეჩო სადღაც დამალა. გარდაცვალებულის გვამი მიხეილის სამკურნალო საანატომიო განყოფილებაში გაგზავნეს.

**** ამავე პოლიციის ნაწილში დღის 12 საათზედ, ჯარის კაცის მეუღლე ბარბარე კრიუჩკოვისა თურმე სარეცხს რეცხდა თავისს სახლში და რაღაც საქმისათვის ცოტა ხანს გამოსულა სამრეცხველოდგან და იქ-კი დაუტოვებია უპატრონოდ 10 თვის პატარა ბავშვი, რომელიც სარეცხ თაბახში ჩავარდნილა და დამხრჩვალა საწყალი.

**** 11 მაისს, ღამით, ბაქოს სადგურში, მოსამსახურე ახვლედიანს მაზუტიან ვაგონების დათვალიერების დროს ფანარი ძლიერ ახლო მიუტანია ორთქლმავალთან, გაზი აფეთქებულა და ახვლედიანს პირისახე დასწვია.

## „პეპოს“ ოცდა-ათის წლის იუბილეის დღესასწაულობა ქალაქ გუმბრში.

შაბათს, 12 მაისს, ქ. გუმბრის საზოგადოებამ ბ-ნის გ. ნ. სუნდუკიანცის პიესის „პეპოს“ ოცდა-ათის წლის შესრულება დიდის ამბით იდღესასწაულა. თეატრი ამ დღეს ყვავილებითა და ბაირაღებით მშვენივრად იყო მორთული, რომელზედაც ღრმად პატივცემულის ბ-ნ გ. ნ. სუნდუკიანცის სახელი და გვარი დიდრონის ოქროთი მოვარაყებულის ასოებით იყო დაწერილი და შუაში მისივე სურათი იყო ჩართული. სურათის გარეშემო მთლად მის დრამატიულ ნაწერების სათაურები ჰქონდა სომხურის ასოებით შემოვლებული. ფოტოგრაფს ბ-ნს ბალაიანცს ადრევე მოემზადებინა პროგრამმა იმ საღამოს წარმოდგენისა კარგს ქაღალდზედ, რომელზედაც „პეპოს“ პატივცემული ავტორი იყო დახა-

---

—

„მოწყალეო ხელმწიფევ!

გთხოვთ მაპატიოთ, რომ პასუხი დავაგვიანე და მადლობა ვერ გადაგიხადეთ თქვენის ძვირფასის გამოცემის „საქართველოს ისტორიის“ გამოგზავნისათვის... ეხლა, თქვენის წყალობით, შემიძლიან შევავსო ჩემი შენიშვნები საქართველოს ისტორიის შესახებ, იმ საქართველოსი, რომელმაც წარსულში დიდი საქმე გააკეთა და დიდი წინააღმდეგობა გამოიჩინა მონგოლთა და მაჰმადიანთა შემოსევის დროს და რომელმაც მტკიცე ზღუდეობა გაუწია ევროპას, უმადურს ევროპას, რადგანაც ეს უკანასკნელი კარგად ვერ იცნობდა საქართველოს“.

ალფერდ რამბო, პარიჟის უნივერსიტეტის (სორბონის) პროფესორი“.

—

„მოწყალეო ხელმწიფევ!

„...გულწრფელად გმადლობთ, რომ მომიგონეთ, წიგნი გამომიგზავნეთ და ამით უზომოდ მასიამოვნეთ...

„თქვენ უკვე უწყით, რომ მე ეს ოცი წელიწადია ვიცნობ საქართველოს და მიყვარს იგი, რის გამოც საბუთი გქონდათ ერთხელ კიდევ გაგეხსენებინათ ჩემთვის ქართველები, თუმცა მე ისინი არასოდეს არ დამვიწყებია. იმედი მაქვს, კიდევ მოვახერხებ კავკასიაში მოსვლას და ანტროპოლოგიურ გამოკვლევათა განახლებას, თუმცა ჯერ არ ვიცი, როდის მომიხდება მოგზაურობა...

ერნესტ შანტრი, ლიონის საბუნებისმეტყველო ისტორიის მუზეის დირექტორი“.

—

„მოწყალეო ხელმწიფევ!

.. დიდის ყურადღებითა და ინტერესებით წავიკითხავ თქვენს წიგნს. იგი მეტად ძვირფასი საბუთია იმ ქვეყნის შესახებ, რომელიც რამდენადაც საინტერესოა, იმდენადვე უცნობია ევროპიელთათვის...

გრაფი დ'აში, სადიპლომატო აგენტი“.

—

„მოწყალეო ხელმწიფევ!

რუსეთის პავილიონში ვნახე ერთი ცალი „საქართველოს ისტორიისა“, თქვენ მიერ გამოცემული. რადგანაც ამ ქვეყნის შესწავლას ვადგევარ, ვსწავლობ იმის ისტორიას, ფულს და სხვას (ვრედაქტორობდი დიდ ენციკლოპედიურს ლექსიკონში დაბეჭდილ წერილს „საქართველოს“), დიდადა მსურს ვიქონიო თქვენი გამოცემა. ვბედავ და გთხოვთ ერთ ცალს, თუ-კი მოგეპოვებათ; დიდად მადლობელი ვიქნებით. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ შესაფერ კაცის ხელში ჩავარდება, რადგანაც პარიჟში მეტად ცოტაა ისეთი (მე არც ერთი არ ვიცი), რომელსაც საქართველო აინტერესებდეს...

აზიის საზოგადოების მდივანი ედ. დრუენი“.

ბ-ნ ისარლიშვილს სამი ცალი გაუგზავნია, რისთვისაც მადლობის წერილი მიუღია, რომელშიაც დრუენი, სხვათა შორის, სწერს:

„უკვე გადავათვალიერე თქვენი წიგნი. მით უფრო სასიამოვნო იყო ჩემთვის ამ წიგნის წაკითხვა, რომ იქ ნაუწყებს ისტორიას დიდი ხანია ვიცნობ. წიგნი მეტად კარგადაა შედგენილი. კარგი გიქნებიათ, რომ სურათები ჩაგირთავთ. ამ სურათების წყალობით წიგნს ღირსება ემატება“.

—

„მოწყალეო ხელმწიფევ!

დიდად გმადლობთ, რომ კეთილ ინებეთ და გამომიგზავნეთ მეტად საინტერესო წიგნი „საქართველოს ისტორია“. თქვენის ყურადღების გამო ვბედავ მოგმართოთ და უმორჩილესად გთხოვთ— ერთი [illegible] თქვენის გამოცემისა შესწიროთ აღმოსავლეთ ენათა სკოლის წიგნთსაცავს. თქვენი გამოცემა იქ შესაფერს ადგილას იქმნება.

პოლ ბოიე, პარიჟის უნივერს. აღმოსავლეთ ენათა ფაკულტეტის პროფესორი“.

—

„ძვირფასო ბატონო!

ათასს მადლობას გიძღვნით „საქართველოს ისტორიის“ გამოგზავნისათვის. დიდის სიამოვნებით წავიკითხავ ამ წიგნს და არა ვეჭვობ, რომ ჩემ ეტნოგრაფიულ გამოკვლევათათვის მრავალს ახალსა და სასარგებლოს ვპოვებ შიგ.

ჟ. დენიკერი, პარიჟის საბუნებისმეტყველო მუზეის დირექტორი“.

—

„მოწყალეო ხელმწიფევ!

დღეს მივიღე თქვენი ძვირფასი გამოცემა საქართველოს, თქვენის მშვენიერის სამშობლოს, შესახებ, სადაც ამ სამის წლის წინად, სამწუხაროდ, მხოლოდ გავლით მომიხდა ყოფნა. დიდად გმადლობთ, რომ შეძლებას მაძლევთ უფრო დაახლოვებით შევისწავლო საქართველო. ამასთან მომავალს სექტემბერში თქვენს წიგნს საგეოგრაფიო წერილების მკითხველთაც გავაცნობ...

პ. კამენა დ' ალმეიდა, ბორდოს უნივერსიტეტის პროფესორი.“

—

„მოწყალეო ხელმწიფევ!

გულწრფელს მადლობას გითვლით თქვენის გამოცემის „საქართველოს ისტორიის“ გამოგზავნისათვის. ეს წიგნი დასავლეთ ევროპაში მრავალს აღუძრავს ინტერესს თქვენის მშვენიერის სამშობლოს მიმართ. გულით მინდოდა მასწავლებელი ქართულს ენაზედ გამომეცხადებინა, მაგრამ ქართულად წერა ცოტა-ოდნად მიძნელდება, ამ ჟამად-კი ძალიან ვარ საქმეში გართული.

შუჰარტი, გრაცის უნივერს. პროფესორი“.

—

„მოწყალეო ხელმწიფევ და ძვირფასო თანამოძმევ!

ეს არის ეხლა წავიკითხე თქვენი საინტერესო გამოცემა. სიამოვნებით მოველაპარაკები მკითხველებს იმის შესახებ ჩემს ერთ-ერთს მახლობელს ქრონიკაში.

პოლ ადან“ (ფრანგი მწერალი).

—

„მოწყალეო ხელმწიფევ!

ბოდიშს ვიხდი იმ თამამის თხოვნისათვის, რომლითაც უნდა მოგმართოთ. ჩვენ, აღმოსავლეთ ქრისტიანეთა დიდ პატივისმცემელთ, გულითა გვსურს ეს ქრისტიანენი რაც შეიძლება კარგად და სავსებით გავაცნოთ აწინდელს საზოგადოებას. ამ აზრით დავაარსეთ ჟურნალი “Les Echos d'Orient“-ი, რომლის დირექტორადაც მე ვარ. დღემდე უმთავრესად ჩვენის მუშაობის საგანს ბერძენნი და რამოდენადმე სლავიანნი შეადგენდნენ. ეხლა გვსურს დაწვრილებით გავაცნოთ საქართველოს წარსული და აწმყო; ამიტომ გთხოვთ ამ საქმეში ხელმძღვანელობა გაგვიწიოთ. გავიგე, რომ

ტული, გარშემო გვირგვინ-შემოვლებული. წარმოადგინეს: ბ-ნის ბილიბინის სამ-მოქმედებიანი კომედია „Изумительныя Превращенія“ და „Помѣшанный“. შემდეგ დივერტისმენტი იქმნა გამართული და ბოლოს ცეკვა. უკრავდნენ: მუსიკა, საზანდარი და თარი.—საზოგადოება, როგორც სომხობა, აგრეთვე ქართველობა და რუსობა, ბევრი დაესწრო. სასიამოვნო ის იყო, რომ დრამატურგის პატივსაცემლად სომეხი, ქართველი თუ რუსი, ყველა განურჩევლად შეყრილიყო და ყველას ერთნაირი სიამოვნება ეტყობოდა, ყველა მხიარულად ეგებებოდა ამ საიუბილეო დღესასწაულს.

მასწავლებელმა ბ-ნმა კოსტანიანცმა საზოგადოებას პატივცემულის დრამატურგის ბიოგრაფია წაუკითხა და გააცნო, თუ ვინ არის იგი, დრამატიულს ლიტერატურაში რა ღვაწლი მიუძღვის. ბ-ნმა ეფრემოვმა კიდევ კრიტიკულად გაარჩია და გააცნო საზოგადოებას სასიქადულო დრამატურგი და ბ-ნმა ტერ-გევონდიანცმა წაიკითხა ლექსი ბ-ნის ჩემშკიანისა, რომელიც სომხურს გაზეთში უკვე იყო დაბეჭდილი იუბილეის გამო.

წარმოდგენიდგან შემოვიდა სულ ორას ათი მანეთი (210 მ.); აქედგან ხარჯს რაც მორჩება, იმითი ოქროს კალამი უნდა მიართვან ავტორს, რომელიც უკვე შეკვეთილია გასაკეთებლად. გარდა ამისა, საზოგადოებამ მისალოცი დეპეშაც გაუგზავნა ბ-ნს გ. ნ. სუნდუკიანცს.

ვ. ყიფიანი

---

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ამერიკულმა სინდიკატებმა ანუ „ტრესტებმა“, როგორც იქ ეძახიან, ამერიკასთან ერთად მთელი ევროპა აალაპარაკეს. თითქმის ყველგან უჩივიან ტრესტთა გაბატონებას მრეწველობის მოედანზედ და ბირჟისა და მრეწველობის საქმის დღევანდელ გაჭირვებასაც მრავალნი სავსებით ამ ტრესტებს აწერავენ. შორს აღარ არის ის დრო, გაიძახის ზოგი, როდესაც მრეწველობის თვითეული დარგი რამდენისამე კაცის ხელში ჩავარდება და ამ კაცთა მონოპოლიად გარდაიქცევაო. ამერიკაში კარნეჯიმ, მორგანმა, როკფელერმა და სხვა მილიარდერებმა რამოდენადმე უკვე ჩაიგდეს ხელთ მრეწველობის ესა თუ ის დარგი. სინდიკატების შემწეობით ეს „ბირჟის მეფენი“ სულს უხუთავენ კერძო მრეწველთ, ნიადაგს აცლიან ფეხ ქვეშიდგან და მრეწველობაზედ ხელს აღებინებენ. ამ ორის თვის წინად ამერიკაში შესდგა ახალი სინდიკატი მორგანისა და როკფელერისა, რომელმაც თითქმის გაიერთა ლითონეულის წარმოების საქმე; 60 პროცენტი ამ წარმოებისა დღეს მორგანის სინდიკატის ხელშია. ამავე სინდიკატის ხელშია შეერთებულ შტატების რკინეულის ყველა მადანი.

„ამერიკამ,—სწერს „Россія“,— უკვე პირველი ადგილი დაიჭირა სამეტალურგო მრეწველობის საქმეში. ბევრად გაუსწრო მან გერმანიასა და ინგლისს. ამიტომ ახლად შემდგარ ძლიერ სინდიკატს არა მარტო ადგილობრივი, მსოფლიო მნიშვნელობა ექმნება. პირველმა ამბებმა კარნეჯისა, მორგანისა და როკფელერის შეერთების შესახებ დიდად აღელვა ინგლისის მრეწველნი და საქმის კაცნი. ამერიკის მეტოქეთათვის აშკარა შეიქმნა, რომ უთვალავ ქარხანათა შეერთება დიდ უპირატესობას მიანიჭებს ამერიკას. ასეთ შეერთების მეოხებით შესაძლებელი გახდება ნაწარმოების გაიაფება (პირველ ხანს მოწინააღმდეგის დასამხობად), ადმინისტრაციის ხარჯის შემცირება და სხვა. ნაწარმოებს სინდიკატი შინაურ ბაზრის ხარჯით გარეულ ბაზარში აიაფებს. ამ გვარი ტენდენცია ყველა სინდიკატის განსაკუთრებულ თვისებას შეადგენს. ყველანი ჩვენ შაქრის მწარმოებელ სინდიკატს ჰგვანან, რომელიც შინაურ მწარმოებელზედ შაქარს სამჯერ ძვირად ჰყიდის, რათა გარეთ თითქმის იმ ფასადვე გაჰყიდოს, როგორც თვით უჯდება. შინაურ ბაზარში გაბატონების წყალობით, ამერიკელთა სინდიკატი დიდძალ ქონებას შეიძენს და ამ ქონების მეოხებით შემდეგ მსოფლიო ბაზარში გავა და დაამხობს ინგლისისა და გერმანიის სამეტალურგო წარმოებას“.

ასეთმა მომავალმა ინგლისელები ძალიან დააფიქრა. ინგლისელ კაპიტალისტებს უკვე გადაუწყვეტიათ რამე ღონისძიება გამოძებნონ. მათ რწმუნებულნი გაჰგზავნეს ამერიკაში ადგილობრივ საქმის ვითარების გამოსარკვევად, აზრადა აქვთ ამერიკელებს მეტოქეობა ამერიკაშივე გაუწიონ სინდიკატისვე წყალობით. შეიძლება შემდეგ ამ ორმა სინდიკატმა საქმე მშვიდობიანად გაათავოს და მორიგებით გაიყოს მთელი დედამიწის ბაზარი ერთმანეთში.

* *
*

„Русск. Вѣд.“-ში დაბეჭდილია საყურადღებო წერილები რუსეთის სამხრეთ გუბერნიებში შიმშილობის შესახებ. გადამდებ სენთან საბრძოლველად გაგზავნილ მკურნალს ფრეიფელდის თანაშემწე სტუდენტი ალბიცკი გადმოგვცემს:

„მუშაობა შეუძლებელია იმის გამო, რომ დილიდგან საღამომდე დამშეულნი მეხვევიან. მთელი ბრბო იკრიბება ჩემის სადგომის წინ. ჩემის დანახვისათანავე იწყობენ ტირილს, ქვითინს და ხვეწნა-მუდარას. ყველგან, სადაც-კი დამინახავენ, ერთსა და იმასვე მთხოვენ—პურს. ამავე შიმშილის წყალობით საავადმყოფო სავსეა ყოველ დღე ავადმყოფებით. დამშეულთაგან თავი ვერ დამიხწევია. შინ დაბრუნებისას, მთელი ბრბო იკრიბება ეზოში, საიდგანაც მეხვეწებიან, პურსა მთხოვენ. შუაღამემდე ეს ბრბო თავს არ ანებებს ეზოს. ღამე კარებსა ვკეტავ, წინააღმდეგ შემთხვევაში დამშეულნი შინ შემომიცვიდებიან“.

ასეთსავე ამბებს სწერს თვით მკურნალი ფრეიფელდი. იმის სიტყვით, დამშეულნი, სამი-ოთხის დღის უჭმელ-უსმელნი, დადიან ქუჩებში და ლუკმა-პურს თხოულობენ. მკურნალს ადგილობრივ სამაზრო საერობო გამგეობისთვის მიუმართავს, მაგრამ გამგეობას, მხოლოდ ხანგრძლივის ყოყმანის შემდეგ, კომისია აურჩევია და გაუგზავნია ადგილობრივ იმის გამოსაკვლევად, მართლა დამშეულია ხალხი თუ არა.

* *
*

„Правит. Вѣст.“-ში დაბეჭდილია ცნობები საქართველოს საექსარხოსოს შესახებ. როგორც ამ ცნობებიდგანა სჩანს, 1898 წელს საქართველოს საექსარხოსოში ყოფილა სულ 1519 მრევლი, ხოლო ეკკლესია სულ 2,408 (ამ რიცხვში ჩათვლილია აგრეთვე სამხედრო ტაძრები, სასწავლებელთა ეკკლესიები, ნიშები და სამლოცველო სახლები). ტაძრები, სწერს გაზეთი, თითო ოროლას გარდა, პატარები და ღარიბულად მოწყობილია. ამისი უმთავრესი მიზეზი „თვით საექსარხოსოს მცხოვრებთა უკიდურესი სიღარიბეა.“ მართლ-მადიდებელ მცხოვრებთა რაოდენობა 1898 წელს, იმავე ცნობებით, უდრიდა 1,280,493 სულს, აქედგან მამაკაცი იყო 678,416, დედაკაცი—602,077. გაზეთი აღნიშნავს ამასთან განათლებულ მღვდელთა სიმცირეს. საექსარხოსოს 1,726 მღვდელთაგან აკადემიის განათლებით აღჭურვილი იყო სულ 13 კაცი, სემინარიისა—258, დანარჩენთაგანს ზოგს სასულიერო სასწავლებელი გაუთავებია, ზოგს კიდევ შინ უსწავლია ცოტა რამ. ოფიციალურ გაზეთის სიტყვით, ეს უკანასკნელი მღვდელნი ნაკლებად არიან მომზადებულნი სასულიერო ასპარეზზედ სამოღვაწეოდ. ხშირად წირვის გადახდის მეტს ისინი არაფერს აკეთებენ; „არიან ისეთი მღვდელნიც, აფხაზეთში, მაგალითად, რომელთაც სამწყსოს ენაც-კი არ ესმითო“.

---

# უცხოეთი

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** გაზ. „Deutsche Wochen zeitung in den Niederlander“-ის ამსტერდამელი კორესპონდენტი შემდეგს საყურადღებო ამბავს იუწყება ერთის ბურის ნალაპარაკევიდგან, რომელიც ეს არის ეხლა სამხრეთ-აფრიკიდგან ჰოლლანდიაში დაბრუნებულა:

„ჩემი მობასე ბური როგორღაც ხალისით არ მიამბობდა ტრანსვაალის ომის საზარლობის შესახებ ნანახსა და ნამდვილად გაგონილს, მაგრამ მისი გარუჯული, გამხმარი პირისახე და ცეცხლის მფრქვევი, დაღლილი თვალები უსიტყვოდაც ნათლად ჰმოწმობდნენ, თუ საცოდავს რაოდენი ტანჯვა და მწუხარება უნდა გამოევლო. ომის შესახებ ახალი არა უცნობებიათ-რა; ყველა ეს დიდი ხანია ათასნაირად გაგვაცნეს ჟურნალ-გაზეთებმა და ბრძოლის ველიდგან გამოქცეულთა წერილებმა. ჩემი ყურადღება მობასემ მიიპყრო: მთელს იმისს არსებას საშინელი ნერვებ-აშლილობა ეტყობოდა. დრო-გამოშვებით თეძოებზედ იტაცებდა ხელსა და საშინლად იჭმუხვნებოდა.

— რა არის?—დავეკითხე ჩემს მობასეს.

— ამ ნახევარის წლის წინად თეძოში დავიჭერი ტყვიით; ტყვია არ ამოუღიათ, ფეხში დამრჩა; მას შემდეგ ტყვია დრო-გამოშვებით საშინლად მაწუხებსო.

— ეს ხომ დიდი დაუდევრობაა მკურნალების მხრივ, რომ ტყვია დროზედ არ ამოუღიათ, შევნიშნე,—ამბობს კორესპონდენტი. ჩემმა მობასემ მხოლოდ მწარედ გაიღიმა:

— აგერ უკვე რვა თვეა ჩვენს რაზმში არც ერთი მკურნალი არ მოიპოვება. ერთი მკურნალი ბოტას-და ჰყავს და ერთიც დევეტს.

— მაშ ვინ ჰმკურნალობს დაჭრილებს, ან თავდაპირველს სამკურნალო დახმარებას ვინ გაძლევთ?

— ვინა-და ჩვენი ფელდ-კორნეტი. ჭრილობას სპირტ-ნარევის წყლით მობანს და შემდეგ ცხვირსახოცით უხვევს,

---

გამოფენისათვის გამოგიციათ „საქართველოს ისტორია“. სითამამედ ხომ არ ჩასთვლით ჩემს საქციელს, ამ წიგნის ერთი ცალი რომ გთხოვოთ?

„ამას გარდა, ხომ ვერ გვიჩვენებთ კარგს თხზულებებს, რა ენაზედაც უნდა იყოს დაწერილი, თუნდა რუსულად (მხოლოდ ქართულად არა, პირველ ხანს მაინც: არც მე და არც ჩემმა თანამოძმეებმა არ ვიცით ქართული ენა). ჩვენ ვსწავლობთ უმთავრესად საეკკლესიო ისტორიას, ეკკლესიათა და საეპისკოპოსოთა აწინდელს ორგანიზაციას, ეპარქიათა სტატისტიკას, მართლ-მადიდებელთა და კათოლიკეთა წესდებებს. ამგვარი ცნობები ხშირად მოთავსებულია ხოლმე ალმანახებში. დღევანდელის მდგომარეობის გამოსარკვევად ეს ალმანახებიც-კი საკმაო იქნება ჩვენთვის. რაც შეეხება წარსულს, ამ ბოლოს დროს, უეჭველია, დაიბეჭდა კარგი ისტორიები ფრანგულს და ნემეცურს ენებზედ, ან კიდევ ინგლისურსა და რუსულზედ. იქმნება დაგვისახელოთ რამდენიმე სათაური, აგრეთვე გვარი გამომცემელთა. უნდა მოგახსენოთ, რომ მე გაცნობილი მაქვს ყველა ის, რაც ბროსსემ გამოსცა. ვეძებ იმას, რაც იმის შემდეგ სხვამ დაჰბეჭდა. ყველაზედ მეტი ადგილი გვსურს დავუთმოთ მართლ-მადიდებელ და კათოლიკე საქართველოს. ამიტომ იმედი მაქვს, რომ დაგვეხმარებით.

„ჩვენ მადლობას იმით გადაგიხდით, რომ თქვენს მშვენიერს, მაგრამ, სამწუხაროდ, ნაკლებად ცნობილს, სამშობლოს გავაცნობთ საზოგადოებას და ამით დავაინტერესებთ.

ა. პეტი“ (მამა ა. პეტი ავგუსტინოს ორდენის უფროსია, კონსტანტინეპოლში არსებულ აღმოსავლეთ ენათა და ჟურნალ „Les Echos d'Orient“-ის დირექტორი).

—

ჟურნალ-გაზეთებიც სიხარულითა და აღტაცებით მიეგებნენ ისარლიშვილის მიერ გამოცემულ ბ-ნ ალ. ხახანაშვილის წიგნს. ვრცელი წერილი ამ წიგნის შესახებ დაიბეჭდა გაზეთ „Journal“-ში. შემდეგს გაზეთებშიაც დაიბეჭდა წერილები: „Journal des Debats“-სა, „La Depecha“-სა, „La Reforme“-სა, იტალიანურ გაზეთ „La Voce“-სა, „Questions Diplomatiquss et Coloniales“-სა და ბოლგარულ გაზეთ „Българска Сбирка“-ში. ამ უკანასკნელში დაიბეჭდა ვრცელი წერილი ბოლგარელთა რომანისტის ი. ვაზოვისა. მოგვყავს აქვე ორის გაზეთის აზრი.

გაზ. „Journal des Debats“-ი:

„საქართველოს ისტორია, გამოცემული 1900 წლის გამოფენაზედ ქართველ მემამულეთა წარმომადგენლის ბ-ნ ისარლიშვილის მიერ, შემკულია მრავალის ფოტოგრაფიულისა და სხვა სურათით. ბ-ნ ისარლიშვილს, რომელმაც ქართველ მემამულეთა მხრივ მხურვალე მონაწილეობა მიიღო პარიჟის გამოფენაში, კარგი აზრი მოუვიდა—გამოსცეს ჩვენს ენაზედ ზოგიერთი საისტორიო, სალიტერატურო და სამეცნიერო ცნობანი იმ ქვეყნის შესახებ, რომელიც დიდად საინტერესოა როგორც გეოგრაფიულის მდებარეობითა და ბუნების სიმდიდრით, ისე თავისის გასაოცარ ფაქტებით სავსე ისტორიით. მოკლე, მაგრამ მშვენივრად შედგენილი მონოგრაფია გვითვალისწინებს დაშორებულს წარსულს, აგრეთვე აწმყოს იმ ხალხისას, რომელსაც ათასი ჭირ-ვარამი განუცდია, ქვეყნისას, რომელიც ოდესღაც ცეცხლისა, ძარცვა-გლეჯისა და განადგურების განუწყვეტელ მოედანს წარმოადგენდა. საოცარი და საკვირველია, რომ ამ ერთმა მუჭა ხალხმა, არეულობათა, დაწიოკებათა და უთვალავ თავსდასხმათა მიუხედავად, დაიცვა არა მარტო თავისი ეროვნული თვითმყოფელობა, არამედ სარწმუნოება, ლიტერატურა და ენა, და ბედის ესოდენ ცვალებადობისა და უკულმართობის შემდეგ ცოცხალი დარჩა მაშინ, როდესაც სხვა უძველესის დროის უფრო ძლიერნი ერნი სრულიად აღიგავნენ დედამიწის ზურგიდგან.

„გეოგრაფიული მიმოხილვა და ქართულ ლიტერატურის მოკლე ისტორია, პროფესორის ბ-ნ ხახანაშვილის მიერ შედგენილი, სრულ ჰყოფს იმ ცნობებს, რომელთა ცოდნაც ყველასათვის საჭიროა. დასასრულ ამ წიგნში მოთავსებული მრავალი სურათი ხუროთ-მოძღვრებისა და ქანდაკებისა მკითხველს საკმაო წარმოდგენას აძლევს ძველს საქართველოს დეკორატიულ ხელოვნებისა და ორნამენტების შესახებ“.

—

გაზ. „La Voce“-ი:

„ჩვენ მივიღეთ მეტად კოხტა წიგნი ამ სათაურით „საქართველოს ისტორია“. ეს წიგნი, საქართველოს შესანიშნავ კაცთა და ნაშთთა სურათებით შემკული, წარმოადგენს საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის მოკლე აღწერას; საგნად აქვს მას გააცნოს მთელს ევროპას ბრწყინვალე წარსული იმ ხალხისა, რომელიც დღემდე ამავე ევროპისათვის terra incognita-ს წარმოადგენს. ეს ხალხი მრავალ საუკუნეთა განმავლობაში მამაცად იბძოდა თავისუფლებისა და სარწმუნოებისათვის კაცობრიობისა და ქრისტეს უძლიერეს მტერთა წინაშე; ამისდა მიუხედავად მან დაიცვა თავისი ხელმწიფო 2,000 წელზედ მეტს ხანს. კეთილშობილება ამ ხალხის ჩამომავლობისა უერთდება სულისა და ხორცის სიმშვენიერეს.

„ცნობილი ინგლისური გამოცემა „Journ. ragal Asiatie Society“, ახასიათებს რა საქართველოს, როგორც მთელ დედამიწის ზურგზედ ერთ უმშვენიერეს ქვეყანას, იწვევს ინგლისის საზოგადოებას ამ მამაც ხალხის ისტორიისა და ლიტერატურის შესასწავლად; ჩვენის მხრით ჩვენც ვიწვევთ მეცნიერთ ისარგებლონ ამას წინად გამოცემულ მშვენიერის წიგნით და გაიცნონ ისტორია ამ ხალხისა, რომელიც, ეჭვი არ არის, ღირსია იმისი, რომ უკეთესი ადგილი დაეთმოს განათლებულ ერთა შორისაო“.

ა—ძე

მორჩა და გათავდა, ჩვენი ერთად-ერთი წამლობა ეს არისო“.

ამ ამბავმა სწორედ რომ საზარელი შთაბეჭდილება იქონია ჩემზედაო, — ამბობს კორრესპონდენტი და თანაც შენიშნავს:

ქუჩაში რომ ფეხმოტეხილი ძაღლი ვნახოთ, მაშინვე ბეითალთან მივარბენინებთ საშველად და იქ-კი, სამხრეთ-აფრიკაში, მხნე და პატიოსანი მეომრები უპატრონობითა და უშემწეოდ იხოცებიან და მათს წამალს სპირტ-ნარევი წყალი შეადგენს, ხოლო სადოსტაქრო იარაღობას ჯიბის დანა ეწევაო!

მართალია, ვიცით, უმაღლესი პოლიტიკა ნებას არ აძლევს ევროპის სახელმწიფოთა მეთაურნი ტრანსვაალის საქმეში ძალით ჩაერივნენ, მაგრამ მოვალეობა-კი ყველასა აქვს ადამიანური გრძნობა გამოიჩინონ და პატიოსან მეომართ შესაფერისი კაცთ-მოყვარული ქრისტიანობრივი დახმარება აღმოუჩინონო.

## სასამართლოს მატიანე

—

გუშინ წინ ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტმა განიხილა საქმე ქუთაისის გუბერნიის, შორაპნის მაზრის, სოფ. ცუხარელის მცხოვრების აზნაურის ტარიელ რევაზის ძის ძიძიგურისა, რომელსაც მევახშეობა ჰბრალდებოდა. როგორც ოლქის სასამართლოში მოწმეებს უჩვენებიათ, ძიძიშვილს 20 წლის განმავლობაში თურმე ხელობად გაუხდია მევახშეობა და იმის გარდა, რომ თამასუქებში ერთი ორად მეტ ფულსა სწერდა, „ნეუსტოიკის“ ხელწერილებსაც ართმევდა ხალხს. 100 მან. რომ ვისმეს ასესხებდა, 200 მან. ანუ 300 მანეთის თამასუქს ჩამოართმევდა. თუმცა ძიძიგურს ამგვარი თამასუქები გაუცია იმ დრომდე, ვიდრე გამოიცემოდა კანონი მევახშეობის წინააღმდეგ, ე. ი. 24 მაისს 1893 წ., მაგრამ ბევრისთვის ამნაირ თამასუქებით ფული კანონის გამოცემის შემდეგაც გარდაუხდევინებია. ოლქის სასამართლოს დამნაშავედ უცვნია ტარიელ ძიძიგური და, მიუღია-რა სახეში 1894 და 1896 წლების უმაღლესი მანიფესტები, დაუდგენია ჩამოერთვას ძიძიგურს ყოველივე განსაკუთრებული უფლება-უპირატესობანი და გაიგზავნოს ასტრახანის გუბერნიაში 3 წლის ვადით საცხოვრებელ ადგილის განუშორებლად. ძიძიგური არ დასთანხმებია ოლქის სასამართლოს განაჩენს და საქმე განუსაჩივრებია ტფილისის სამოსამართლო პალატაში, სადაც ბრალდებულს იცავდა ნაფიცი ვექილის თანაშემწე ბ-ნი გუნცაძე, რომელმაც სთხოვა სასამართლოს გაემართლებინათ ძიძიგური. რამდენისამე ხნის შემდეგ სამოსამართლო პალატამ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც ძიძიგურს სასჯელი შეუცვალა საპყრობილეში ერთის წლის დაპატიმრებით.

—

12 მაისს სამოსამართლო პალატამ განიხილა ქუთაისის გუბერნიის მცხოვრების ა. ხაინდრავას საქმე, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვის ჩადენა ჰბრალდებოდა. პალატამ—ოლქის სასამართლოს განაჩენი ზოგიერთ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და ტომსკის გუბერნიაში სამუდამოდ საცხოვრებლად გარდასახლება ხაინდრავას შეუცვალა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში ერთის წლით გაჰგზავნა.

# დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

17 მაისი.

**სიმბირსკი.** სენგილეევის მაზრის ძველ ერონში ცეცხლმა გაანადგურა 135 სახლი და შენობა. დაიწვა 2 დედაკაცი, ათი კაცი დაშავდა. ზარალი 100 ათასს მანეთამდეა. მიზეზები ცეცხლის გაჩენისა ბავშვების ცელქობაა.

**ბაქო.** გუშინ ბიბი-ეიბათში დაიწვა სულ 21 ვიშკა და აუზი, თითქმის 30,000 ფუთ ნავთით სავსე. ცეცხლი ღამის 2 საათისათვის ჩაქრა. ზარალი 150,000 მანეთზედ მეტია.

**პეკინი.** გერმანიის ელჩს გარდაეცა იმპერატორის ბრძანება და პირობა 450 მილიონ ტაელისა და 4 პროც. გარდასახადის შესახებ.

**სტოკჰოლმი.** ორივე პალატამ თანხმობა განაცხადა 3,769,800 კრონის გადადების შესახებ ჯარის შესაიარაღებლად. მთავრობა ოთხის მილიონის გადადებას თხოულობდა.

**პოჩეფსტრომი.** 400 კაცისაგან შემდგარი ბურების რაზმი თავს დაესხა ვენტერსდორპში მიმავალ ინგლისელთა სურსათისა და ბარგის ურმებს. ბურები ორჯელ იქმნენ უკან დახეულნი. მოუკლეს მათ 14, ხოლო დაუჭრეს 9 კაცი.

**ვარცინი.** აქ გარდაიცვალა ვილჰელმ ბისმარკი მცირე ხნის ავადმყოფობის შემდეგ.

18 მაისი.

**პეტერბურგი.** გამოქვეყნებულ იქმნა უმაღლესი ბრძანებანი, რომლითაც საერო განათლების სამინისტროს საბჭოს წევრს და ამავე სამინისტროს სამოსწავლო კომიტეტის თავმჯდომარეს გეორგიევსკის და საერო განათლების მინისტრის ამხანაგს ზვეგრევს ებრძანათ უმართებულესს სენატში ყოფა. — ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და ნება დართო მთელს იმპერიაში ხელის მოწერა გაიმართოს პეტერბურგში რუსულ სამუსიკო სკოლის დამაარსებლის მ. ი. გლინკასათვის ძეგლის ასაგებად.

**ვენა.** ივნისის დამდეგს აქ მოვა რუსეთის დრაგუნთა მე-35-ე რაზმის აფიცერთა დეპუტაცია, რომლის შეფადაც იმპერატორი ფრანც-იოსებია.

**ბერლინი.** გამოქვეყნებულ იქმნა იმპერატორის ბრძანება, რომლითაც 1) აღმოსავლეთ-აზიის ჯარის მთავარ-სარდლის გამგეობა უნდა გაუქმდეს და სამშობლოში დაბრუნდეს; 2) აღმოსავლეთ-აზიის კორპუსი შემცირებულ იქმნება ერთ ბრიგადამდე-დანარჩენნი უკან უნდა დაბრუნდნენ და 3) ზემოხსენებული ბრიგადა ჩინეთში უნდა დარჩეს.

**ვენა.** იმპერატორმა მიიღო რუსეთის დრაგუნთა მე-26 რაზმის დეპუტაცია განსაკუთრებულს აუდიენციაზედ.

**პოტსდამი.** აქ მოვიდა ჰოლანდიის დედოფალი მეუღლითურთ. სასახლეში სადილი იქმნა გამართული იმპერატორის წევრთა თანადასწრებით. იმპერატორმა დედოფლისა და იმისი მეუღლის სადღეგრძელო წარმოსთქვა.

**ლონდონი.** კაპის ახალშენის კუნისტაუნიდგან იუწყებიან, რომ ქალაქის დარაჯებმა ღამე საფარებში გაატარეს და შემდეგ განკარგულებამდე სამსახურში რჩებიანო. როგორც ისმის, ბაიერის მეორე მხარეს ბურების ჯარია, როგორც ჰფიქრობენ კრეიცინგერისა.

**დურბანი.** 400 ბური, მირსისა, ბეკ-ვილიენისა, სერუიტისა და ბრეიტენბახის უფროსობით, თავს დაეცა ბეტლის სამხრეთით პლუმერის სურსათისა და ბარგის ურმებს, მაგრამ 6 საათის ბრძოლის შემდეგ ბურები უკუგდებულ იქმნენ. ინგლისელებს 6 მოკლული და 20 დაჭრილი ყავთ. ბურებს—6 მოკლული და 30 დაჭრილი. — პლუმერის ჯარი სტანდერტონში მივიდა. თან მოიყვანა ბურთა ოჯახობანი და მოიტანა მრავალი სურსათი.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

ქ. სიღნაღში ქართველთა შორის შევაგროვე 26 მანეთი ჩვენის ქართული სცენისათვის დიდად მოღვაწე, აწ გარდაცვალებულის კნ. ბარბარე ავალიშვილის ძეგლისთვის, რომელსაც შემომწირველთა სიას თან ერთად ვახლებ „ივერიის“ რედაქციას. ვთხოვ რედაქციას მიიღოს შრომა და ფული დანიშნულებისამებრ ქართულს დრამატიულს საზოგადოებას გადასცეს. შემოსწირეს: თავადის ასულმა ანდრონიკოვისამ 1 მან., თავ. მ. ანდრონიკოვმა 1 მან., თავადის ასულმა ს. ანდრონიკოვისამ 1 მან., თავ. ლ. აბხაზმა 50 კაპ., ბ. ტიმ. ბადაევმა 1 მ. და 50 კ; ბ-მა ი. ბაქრაძემ 1 მან., თავ. ი. რ. ვაჩნაძემ 2 მან., თავ. ი. ზ. ვაჩნაძემ 1 მან., კნ. ე. ვაჩნაძისამ 1 მან., ფ. მ. ვაჩნაძემ 50 კაპ., კნ. თ. მაყაევისამ 1 მან., ელ. ლ. მოსულოვისამ 1 მან; ვ. ი. მირიანოვმა 40 კაპ., ა. დ. ნაცვალოვისამ 50 კ., თ. დ. ნაცვალოვმა 1 მან., ი. დ. კვალიაშვილისამ 1 მან., ბ-ნმა ძიძიკოვმა—50 კაპ; ი. ი. რუდინსკიმ 1 მან., გ. ბ. ტატიშვილმა 1 მან., ი. დ. ქიტიაშვილმა 1 მან., ქ-მა ნ. ყაზახოვისამ 1 მ. 30 კ., თავ. ი. ჭავჭავაძემ 1 მან., ქ-მა ა. ს. ჯაფარიძისამ 1 მან., კ. ი. ჯაფარიძემ 1 მან., ც. ხ. ყვანიამ 1 მან., ა. ი. ბალარჯოვისამ 50 კაპ., გ. ე. ტყავაძემ 25 კაპ., კატია სტრელბიცკისამ 1 მან. და სულ 26 მან.

კნიაჟ. ნ. ანდრონიკოვისა


განცხადებანი

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!

ჰიგიენური

ბორნო-ცეიმოლის საპონი

პროვიზორის

გ. ფ. იურგენსისა

აქრობს ჭორფლს, ნასიცხს, ყვითელ ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ

ოქროს მედალი ლონდონი 1893 წ.

ფასი თითო ნაჭერის 50 კაპ., ½ ნაჭერი 30 კაპ. იყიდება რუსეთის ყველა სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

უმთავრესი საწყობი გ. ფ. იურგენსთან მოსკოვში. (48—6.—43)

ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს,

რომ 21 მაისს, შუადღის 12 საათზედ, გამგეობისავე თანადასწრებით, **მოხდება საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც იჯარით გაიცემა ქალაქის მიწის ნაჭერი, ტფილისის მე-7 ნაწილში, ავლაბარში. სულ 23 დესეტინაა გაჯიანი ადგილი.

მსურველთ შეუძლიანთ პირობანი გაისინჯონ გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეს გარდა, 9-დგან 3 საათამდე. ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, იმან 100 მანეთი ბე უნდა წარადგინოს. (3—6.—2)


# ბალანსი ტფილისის სამეურნეო ბანკისა

1 მაისისათვის 1901 წლისა.

**ა ქ ტ ი ვ ი.**

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. კასსა (სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები) | | 8491 | 39 |
| II. მიმდინარე ანგარიშები: ტფილისის საკომერციო ბანკში | | 120 | 88 |
| III. „ „ „ა. ფრიდონოვისა და ამხ.“ საბანკო კანტორაში | | 100 | — |
| IV. პირობა-დადებული მიმდინარე ანგარიში სახელმწ. ბანკის ტფილისის განყოფ. | | 1000 | — |
| V. სარგებლიანი ქაღ., საზოგადოების საკუთრნი. | | | |
| ა) უზრუნველ-ყოფილნი: | 2060—76 | | |
| ბ) არა-უზრუნველ-ყოფილნი: | 7025— | 9085 | 76 |
| VI. სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი | | 3904 | 34 |
| VII. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცს უწერია ხელი | | 265926 | 27 |
| VIII. პროტესტ-ნაქმნარი თამასუქები | | 1000 | — |
| IX. განაღდება %-იან ქაღალდებისა, კუპონებისა და სხ. | | 1336 | 57 |
| X. გირაოთი გაცემული სესხი: | | | |
| ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ ფას. ქაღალ. | 9283— | | |
| ბ) არა-უზრუნველ ყოფილ. ქაღალ. | 16592— | | |
| გ) საქონელზედ | 20407— | | |
| დ) სასოფლო-სამეურნეო ნაწარმ. | 12926— | 59208 | — |
| XI. დასაბრუნებელი ხარჯი | | 96 | 01 |
| XII. მოწყობა-მომართვა | | 2397 | 50 |
| XIII. კორრესპონდენტები: | | | |
| ა) იმათის ანგარიშით (loro) | 43466—39 | | |
| ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro) | 455—36 | 43921 | 75 |
| XIV. გერბის გადასახადი და თამასუქის ქაღალდი | | 164 | 37 |
| XV. სხვა-და-სხვა დებიტორები | | 236 | 08 |
| XVI. გარდასაცემი თანხა | | 1447 | 98 |
| XVII. მიმდინარე ხარჯი | | 5120 | 50 |
| ს უ ლ | | 403557 | 40 |

**პ ა ს ს ი ვ ი.**

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 828 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრი ფულიდგან | | 86746 | — |
| II. სათადარიგო თანხა | | 6309 | 53 |
| III. სარგებელი სათადარიგო თანხის სარგებლიან ქაღალდებისა | | 28 | 50 |
| IV. შემოტანილი ფული: | | | |
| ა) მიმდინარე ანგარიშით | 111451—54 | | |
| ბ) ვადით | 135929— | | |
| გ) უვადოდ | 965— | 248345 | 54 |
| V. გარდასაცემი თანხა | | 2452 | 11 |
| VI. გარდასახდელი სარგებელი | | 558 | 12 |
| VII. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა | | 39 | 76 |
| VIII. წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ-მოთხოვნილი საზოგად. წესდ. მე-12 და 13 §§-ის თანახმად | | 300 | — |
| IX. გარდასაგზავნად შემოტანილი ფული | | 3000 | — |
| X. კორრესპონდენტები; | | | |
| ა) იმათის ანგარიშით (loro) | 17000— | | |
| ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro) | 11201—79 | 28201 | 79 |
| XI. განაღდება თამასუქებისა სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში | | — | |
| XII. განსაკუთრებული მიმდინარე ანგარიში კერძო საკრედიტო დაწესებულებანში: | | | |
| ა) თამასუქების უზრუნ.-ყოფით. | | 3 | 06 |
| ბ) %-ან ქაღალდებ. უზრუნ. ყოფით. | | — | |
| XIII. განსაკუთრებული მიმდინარე ანგარიში სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში | | 12000 | — |
| XIV. წაუღებელი დივიდენდი წარსულ წლებისა | | 2214 | 83 |
| XV. წაუღებელი დივიდენდი 1900 წლისა | | 3993 | 95 |
| XVI. მიღებული სარგებელი | | 9324 | 21 |
| XVII. მოგება და ზარალი 1901 წლისა | | 40 | — |
| ს უ ლ | | 403557 | 40 |
| პასუხის მგებლობა 828 წევრისა 10%-იან შემოსატანს გარდ. | | 780714 | — |
| საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება | | 11900 | — |
| თამასუქები საკომისიოდ | | 3319 | 96 |

(1—6.—1)